

გ ა ზ ე თ ი დ ი რ ს :

ნა. კ.	თვე	მან. კ.
10	6	6
9 50	5	5 50
8 75	4	4 75
8	3	3 50
7 25	2	2 75
6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„იზმარის“ ტელეფონი № 227.

იზმარი



რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, ქვემოთაბოლო

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა
გამაერტ. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეორეზედ—8 კაპ.

„იზმარის“ ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი

საქართველო, 8 ნოემბერი, 1901 წ.

ქართულის ღრამაბიშლის საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება:

პირველად ახალი პიესა.

მსხვერპლისათვის მსხვერპლი

ღრამა მ მოქმედებად, თხზ. დიმიტრი კოსი, თარგ. ა. ცაგარლასა.

სუსტი მხარე

კომ. 1 მოქმედებად, თარგ. დ. მესხისა.

ინაწილობას იღებენ: ქ-ნი გარგარეთელი, ტასო აბაშიძე, გივიშვილი და სხვ. ბ-ნი: კუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გელევიანი, შაბრიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

მომდევნო წარმოდგენა კვირას, 11 ნოემბ.; მზადდება „ტარტიუფი“, კომ. 5 მოქმ. მოლიერისა. (2—უ.—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

განდამკურნალების კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გელევიანიშვილისა.

ქუჩა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი აგაბაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

განდამკურნალებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

3. ი. ზინინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გელევიანიშვილი—ნე-

რვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

პ. ბ. ფადლოვი. შინაგან და ბაგეშვისა. 9—10 ს.

ბ. ბ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშობლოთა და ხუთშობლოთა, 10—11 საათ.

6. ა. გულიანი—ყურისა, ყელი-სა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალაშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. ბ. შაბილოვი—თვალის, 10—11 საათ.

მედიკალი ბ. ს. ბაქრაძე ბაგეშვისა—11—12 ს.

დ. ა. გელევიანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. ბ. ბარსუკი — დედათა

სნეულებანი, ორშობლოთა, ოთხ-შობლოთა და პარასკეობით 12—1 საათ.

ს. ა. ზონინი—ხირურგიული (სადოსტაქრო) ხუთშობლოთა და შობლოთა—1—2 საათ.

ი. დ. გავთაბაშვილი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1 1/2—2 ს.

ს ა ლ ა მ ო ბ ი თ :

ი. ნ. თუშანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ქ ვ ი რ ა ო ბ ი თ :

ბ. ბ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

პირველი კერძო სამკურნალო

მედიკალი ნავასარდიანისა

ქუჩაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავთამყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

მ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანაშვილი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. გაქლიანი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაბაბიანი. 1—1 1/2 ს. შინაგანისა და ბაგეშვისა.

ს ა ლ ა მ ო ბ ი თ :

6. ნ. როსტომიანი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შაპოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიული ავადმყოფობათა.

ბ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბაგეშვის ავადმყოფობისა, 7—7 1/2 ს.

ს. ბ. არვანიძე. 11—1 ს. გაუკეთებლად სახლში მსურველთ „მას-საეს“, აუციურს ყველს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7 1/2—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. დარიგების უფასოდ, ფასი კონსულიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლიტერატორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лечебница—д-ра Наваардиана. Тифлиси, противъ памят. Воронцову.

პირველი კერძო სამკურნალო მედიკალი ნავასარდიანისა

ქუჩაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავთამყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

მ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანაშვილი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. გაქლიანი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაბაბიანი. 1—1 1/2 ს. შინაგანისა და ბაგეშვისა.

ს. ა. შაპოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიული ავადმყოფობათა.

ბ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბაგეშვის ავადმყოფობისა, 7—7 1/2 ს.

ს. ბ. არვანიძე. 11—1 ს. გაუკეთებლად სახლში მსურველთ „მას-საეს“, აუციურს ყველს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7 1/2—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. დარიგების უფასოდ, ფასი კონსულიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლიტერატორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лечебница—д-ра Наваардиана. Тифлиси, противъ памят. Воронцову.

პირველი კერძო სამკურნალო მედიკალი ნავასარდიანისა

ქუჩაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავთამყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

მ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანაშვილი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. გაქლიანი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაბაბიანი. 1—1 1/2 ს. შინაგანისა და ბაგეშვისა.

ს. ა. შაპოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიული ავადმყოფობათა.

ბ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბაგეშვის ავადმყოფობისა, 7—7 1/2 ს.

ს. ბ. არვანიძე. 11—1 ს. გაუკეთებლად სახლში მსურველთ „მას-საეს“, აუციურს ყველს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

მიხეილ გელევიანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (5.)

მთავრობის განკარგულება ტფილისის პოლიციისტირისა და მარხის უფროსთა მიმართ.

მთავარ-მართებლის განკარგულებით თავის დროზედ გამოცხადებული იყო, რომ გაუმჯობესებულ სისტემის სწრაფ-მსროლი თოფების ტარება, მათ შორის სწრაფ-მსროლი შაშხანათა (ვინტოვების), აღკრძალულია. ამასთანავე გუბერნატორებს ნება ეძლეოდათ მიეცათ უფლება სხენებულ იარაღის ტარებისა იმ პირობათვის და იმ შემთხვევაში, როცა ამას მოსახერხებლად სცნობდნენ და მოხვდნენ კი საიმედო პირობად.

ამ განკარგულების შემდეგ განკლილ წელთა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სწრაფ-მსროლი იარაღის ტარების საჭიროება სხვა-და-სხვა მარხის ადმინისტრაციის სხვა-და-სხვა ნაირად ესმოდათ და ამ საქმეში ერთნაირად ვერ მოქმედებდნენ. ამ საგანზე შეხედულება იცვლებოდა ადგილობრივ პოლიციის წარმომადგენლის ყოველ გამოცვლისათანავე.

ამიტომაც იარაღის ტარების ნების ადგება ძალიან ადვილი შეიქნა და ზოგიერთ შემთხვევაში თვით მოწმობების აღება გუბერნატორებისაგან თითქმის უბრალო ფორმალისტობად გადაიქცა. რაკი მთავარ-მართებლის განკარგულების შემდეგ ორი წელიწადი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში, ვისაც კი აუცილებლად ესაჭიროებოდა, ყველას შეეძლო სწრაფ-მსროლი თოფის შექმნა და სათანადო ნებართვის აღება, მე საჭიროდ მიმაჩნია საქმის მოსაგვარებლად შევხედული უფლება სწრაფ-მსროლის იარაღის ტარებისა და შექმნისათვის ნებართვის გაცემისა ქვემოთ სხენებული წესით: იარაღის ტარების ნების აღება შეუძლიან: 1) იმათ, ვისაც ისეთი

ადგიარებთა. თავად-აზნაურობის მაშინდელი მარშალი, თავ. ორბელიანი, უფრო მკვახედ და მოკლედ და სჭრის საქმეს: „მიწა-წყალი მემამულის საკუთრება და იმის განკარგულებას უნდა ექვემდებარებოდეს.“ საინტერესოა და ტიპური თავად დავით ციციშვილის არგუმენტაცია, რომელიც ოთხი მუხლი-საგან შესდგება: 1) გლეხები ჩვენს მახლობლად მოსახლეობენ; მიუღი სასოფლო ადგილი გლეხებს უჭირავთ და ეს რომ იმათი საკუთრება შეიქნეს, მაშინ იქაურობას უსუფთაობით აავსებენ, უპატრონოდ გაუშვებენ საქონელს და, რაც-კი იქ გვექნება რამე, გენახი თუ ბოსტანი, ყველაფერს გააოხრებენ, და დაუსრულებელი ჩხუბი და უსიამოვნება ასტყდება. 2) სხვა ადგილებიდან გლეხების მოყვანა რომ განვიძრახოთ, ადგილი აღარ გვექნება მათს დასახლებლად; ახალ მოსულსა და ძველს გლეხებს სულ უბრალო მიზეზებით აუტყდებოდათ აყალ-მყალი და იძულებული იქ-

უელეტონი

მანის თავად-აზნაურობის აზნაური ბატონ-შრობის გადაპარდნის შესახებ 1863 წელს.

სწორედ 37 წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც გუნბის მოღალანზე გამოცხადდა სამხსოვრო და დაუფიწყარი მანიფესტი გლეხთა განთავისუფლების შესახებ, რომელიც ერთთავად მოსპო ბატონის და გლეხის მონური ურთიერთობა და ბრძანად შესცვალა საქართველოს საზოგადოებრივი წესწყობილება.

როგორც ყველგან, საქართველოშიაც მთავარი მიზეზი საგლეხო რეფორმისა ის საზოგადოებრივი წყობილება იყო, რომელიც თავის განთავისუფლების დამოუკიდებელს, თავისუფალს მუშას ჰსაჭიროებდა. რუსეთის იმპერატორმა, ალექსანდრე მე-II-მ, თამამად აუქცია გვერ-

დი იმ აზრს, ვითომც ყოველივე რეფორმა ნელ-ნელა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ უნდა იქმნას შემოღებული ერის ცხოვრებაში, და 19 თებერვალს 1861 წელს რუსეთის შიდა გუბერნიების გლეხებს მიანიჭა თავისუფლება და დაიხსნა თავად-აზნაურთა დამოკიდებულებისაგან.

ერის ცხოვრების ძვალსა და რბილში გამჯდარი წესი ურთიერთობისა მუდამ ბურჯია საზოგადოებრივის და სახელმწიფოს არსებობისა. ამ ბურჯის შეცვლა ხშირად აუცილებელი პირობაა განვითარებისა, მაგრამ იმავე დროს სახიფათოა იმისი უეცრივე გამოცვლა. აი სწორედ ეს მოსაზრება ახელმძღვანელებდა რუსეთის მთავრობას საგლეხო რეფორმის შემოღების დროს და ამ მიზეზით ეკითხებოდა რუსეთის მთავრობა საზოგადოების სხვა და სხვა წრეებს, რა პირობებით იყო საჭირო საგლეხო რეფორმის შემოღება. მთავარს გამოსარკვევს საგანს ახლად განთავისუფლებულ გლეხების ეკონომიური მდგომარე-

ობა შეადგენდა. უმიწა-წყლოდ თავისუფლება მინიჭებულს გლეხს ცხოვრება დიდად გაუჭირდებოდა და მიწა-წყალი კი თავად-აზნაურობის საკუთრებას შეადგენდა.

1863 წელს რუსეთის მთავრობამ წინადადება მისცა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, გამოეთქვა თავისი აზრი იმის შესახებ, თუ რა პირობებით უნდა მომხდარიყო გლეხთა განთავისუფლება საქართველოში. საუბედუროდ, ჩვენი თავად-აზნაურობა ვერ შესწვდა მთავრობის განძრახვას, ვერ შეიგნო ქვეშაირი მნიშვნელობა განძრახულის საზოგადოებრივის და ეკონომიურის რეფორმისა. თავად-აზნაურობის უმრავლესობამ საგანს კერძო წოდებრივი ინტერესების თვალთ შეჰხედა და თავისდა სამარცხვინოდ, დამტკიცა, რომ იგი მაშინ ჯერ სრულიად მომზადებული არ იყო საქვეყნო საქმეებზე მსჯელობისათვის. 1863 წელს თავად-აზნაურობამ რამდენიმე კრება მოახდინა და ამ კრებებზე გამოსთქვა

თავისი აზრი საგლეხო რეფორმის შესახებ. დღეს ჩვენთვის თავად-აზნაურობის მაშინდელს აზრს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია გვაგვიჩინოთ ჩვენს მკითხველს, როგორ აზროვნებდა და როგორ ჰფიქრობდა ორმოცის წლის წინად საქართველოს ბრწყინვალე წოდება.

რუსეთის მთავრობამ კარგად იცოდა, რომ თავად-აზნაურობა დიდს უარზე იყო, თავისი მიწა-წყალი გლეხებისთვის დაეთმო და ამიტომ ყოველის უწინარეს იმას ეკითხებოდა, რატომ არ გინდა მისცე გლეხებს მიწა. ამ საკითხის დაყენება ჩვენს თავად-აზნაურობის უმრავლესობამ თითქოს იწყინა კიდევ, ასე რომ ივანე სულხანიშვილი, მაგალითად, თითქმის ვაიბუტა. „თუმა მრავალი მიზეზი და საბუთი გვაქვს, მაგრამ არა გვსურს წამოვაცენოთ და დავასახლოთ ისინი, რადგანაც ყოველივე მსჯელობა ამ საგნის შესახებ უსიამოვნებას გგვრის... ამაზე თანხმობას ჩვენ ვერასოდეს ვერ

თანამდებობა უჭირავს სახელმწიფო სამსახურში, რომ თავიანთ თანამდებობის ასრულების დროს შეიძლება საშინაო შეტაკება მოუხდეთ, მაგალითად: აქციონის მოხელეებს, მადანთა და გზების ინჟინერებს და წყლების გამგებობის უწყებაში მოსამსახურეებს; 2) სანდო პირებს, მემამულეებს, ყრუ ადგილებში საქონლის ჯაგებისა და ფარების პატრონებს, რომელთაც ბოროტ-მოძქმენდი ხშირად თავს ენდობნენ. 3) იმ სამიველი პირთ, რომელთაც ყრუ ადგილებში ხშირად მიმოსვლა აქვთ და თან დაქვე დადილი ფული და ფასიანი ქონება. 4) იმ პირთ, რომელთაც სასარგებლო დახმარება აღმოუჩენიათ აღმინისტრაციისათვის ბოროტ-მოძქმენდა დევნისა და დაჭერის დროს. სწრაფლ-მსროლ და საომარ თოფების შექმნისა და ტარების თემაზე გვეყვით. იმ უსათუა პირობით, თუ რომ მე-2, 3 და 4 მუხლებში მოხსენებული პირნი პირდაპირ დასდებენ, აღმინისტრაციის პირველ მოთხოვნებთანვე თავად ან თავის მაგიერ კაცს მიუხეობენ მთავრობას ბოროტ-მოძქმენდა დევნისა და დაჭერის დროს. ამ წესს მე უმცდარად დავიცავ, როცა ვინმე მომმართავს, მივცე უფლება რათა გაუმჯობესებულ სისტემის სწრაფლ-მსროლი თოფი შეიძინოს და ატაროს. იმ პირთ კი, რომელთაც არა აქვთ მოწიბობა ატარონ სწრაფლ-მსროლი თოფები, მე განუხანებლად მოწიბობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დაამოწმებთ, რომ ისინი გამომადგობიან აღმინისტრაციას ბოროტ-მოძქმენდა დევნისა და დაჭერის დროს, და ამასთანვე თუ ისინი, რომელნიც ახლად იღებენ თოფის ტარების უფლებას, დასდებენ პირობას, რომ აღმინისტრაციის მოთხოვნებისაგან მიუხეობდებიან მას ბოროტ-მოძქმენდა დევნისა და დაჭერაში თვითონ პირადად, ან თავის სამაგიეროდ სხვა კაცს გაუგზავნიან.

ბრწყინვალე დღე

დღევანდელი დღე მართლაც და ბრწყინვალე დღეა. სწორედ დღეს, რვა ნოემბერს, დაიბნებრა მონობის ჯაჭვი, შეიმუხრა ბატონ-ყმობის უღელი და ქართველობას გაეღო გზა ახალის ცხოვრებისა. ასეთი დღე მთელს დიდებულს ხანას შეადგენს და ქართველობაც უსაფერად მიეგება ამ დღესასწაულს. მომზიბლავს სურათს წარმოადგენდა ჩვენი დედა-ქალაქი რვა ნოემბერს 1864 წელს, როცა ქართველ ერს ეუწყა უმაღლესი მანიფესტი გლეხ-კაცობის განთავისუფლებისა. მშვენიერად მორთულ და მოკაზმულ თავდაზ-

ნაურობით საესე იყო ტფილისი. მამასახლისებისა და გლეხების წარმომადგენლების სიხარულს და აღტაცებას თითქო საზღვარი არ ჰქონდა. გუნების მოედანი კობტად და კაპწიად მოკრიალებული იყო. მოედნის შუა ადგილზედ დიდი ამბიონი იდგა. ამ ამბიონიდან უნდა ჰსმენოდა შეკრებილ საზოგადოებას ღვთიური სიტყვა ერთობისა და თავისუფლებისა.

მეორე მოედნის დანიშნულება სხვა იყო. ეს მეორე მოედანი, რომელსაც მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ მდებარე ფართო ადგილი წარმოადგენდა, სანადიმოდ მოამზადეს, სუფრებით მორთეს. გლეხ-კაცობას პირველად აქ უნდა გაეტეხა პური ჩვენი არსობისა და ღვინით საესე ქიქა დაელია სადღეგრძელოდ თავისუფლებისა და დავეგუგუნა ძმობისა და ერთობის მრავალ-ჟამიერი. ამბობენ, რომ თვით ბუნებაც კი ჰხარობდა იმ დღესაო. სხივასანი დარი ბრწყინვალეებით ამკობდა თვალ-წარმტაცს სურათს და თითქო დაჰხაროდა საერთო სიხარულსაო. შეკრებილი საზოგადოება ჯერ სიონის ტაძარში წაემართა და იქ მოისმინა წირვა და პარაკლისი. მეორე გუნების მოედანზედ შეიკრიბა. აქ, ამბიონზედ, ბარონ ნიკოლაიმ მაღალ ხმით წაიკითხა უმაღლესი მანიფესტი და ი. კ. მუხრან-ბატონმა იგი მანიფესტი ქართულად გადაუთარგმნა მსმენელებს. შემდეგ გაიმართა ნადიმი მეორე მოედანზედ, სადაც ეხლა მუზეი და ქალაქის წიგნთ-საცავია, და ჩვენი გლეხ-კაცობა მიეცა თავისებურად გულითადს ღვინისა და შექცევას... დღის წინაშე, მიზეზიც-კი ჰქონდა, რომ იმ დღეს გულითადად ეღვინა და ესიამოვნა. ის დღე უმეტესად გლეხ-კაცობის დღე იყო, იმას ანიჭებდა შვებასა და ღვინას. რასაკვირველია, ბატონ-ყმობის მოსპობამ დიდი გავლენა იქონია მთლად ქართველობაზედ, გლეხობის განთავისუფლებამ ძირიანად შესცვალა ჩვენი საზოგადო ცხოვრება, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, 8 ნოემბერის 1864 წ. მანიფესტი საგლგობო დღესასწაულს შეადგენდა.

ბის ინტერესების დაცვა შეუძლებელია, ჩვენ არ შეგვიძლიან ვიფიქროთ და ვიღონოთ რამე გლეხების დასაკამყოფილებლად, რადგანაც უმჯობესია და უკეთესი ჩვენს თავზე, ჩვენი ცოლისა და შვილის მომავალ ცხოვრების ბედნიერებაზე ვიზრუნოთო, „ჩვენ არც შრომა შეგვიძლიან, არც ხენა, არც თოხნა და ბარვა, არც მწყემსობა და არც ქირაზე სიარული; გლეხი-კი მუდამ მზად არის ამ გვარის შრომისათვის და არც ღრავინ გაჰკიცხავს იმას ამ გვარის მუშაობისათვის, რადგანაც ამისათვის დაიბადა და გაიზარდაო...“

საქართველოს თავდაზნაურობას 60-იანს წლებში ბატონ-ყმობის წესი ურთიერთობისა ისე ღრმად ჰქონდა შეთვისებული, იმდენად ჰქონდა გამჯდარი ძვალსა და რბილში, რომ ინსტიქტურად სცილობდა გლეხთა განთავისუფლებას მხოლოდ სიტყვით მომხდარიყო და ნამდვილად-კი გლეხი კულანდებურად იმის ყურმოჭრილ

საზოგადოებრივი სხვა-და-სხვაობა, რომლის არსებითი თვისება ისაა, რომ ერთი წოდება მეორის უფროსი და ბატონია, პირველადვე სუფევდა საქართველოში. ჯერ ისევ სტრაბონმა აღნიშნა ჩვენის ცხოვრების ეგეთი წყობილება. მაგრამ პირვანდელ დროს ბატონ-ყმობის ნასახიც-კი არ არსებობდა ჩვენს სამშობლოში. მხოლოდ შემდეგ გაჩნდა ეს სოციალური მოვლენა. თუმცა მეცნიერულად გამოკვლეული არაა, მაგრამ მაინც მეცხრე საუკუნის ადრე ჩვენში ბატონ-ყმობას ვერ ჰპოვებენ. სული ერთია, სახელდობრ როდის დაარსდა ეს საზოგადოებრივი დაწესებულება, საქმე მხოლოდ ის არის, რაც დრო და ჟამი გადიოდა, ბატონ-ყმობა თანდათან ვრცელდებოდა და უფრო სასტიკ სახით მოქმედებდა. მაგალითებრ, ბექას და აღბუღას დროის (XIV საუკ.) ბატონ-ყმობა დაშორებით უფრო ჰუმანიურია, ვიდრე შემდეგ საუკუნეებისა. ექვს გარეშე უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ერთობის დამხობამ მეტად ააღორძინა და გაამწვავა საბატონ-ყმობა ურთიერთობა. და თუ შევიდმეტე საუკუნეში თავისუფალი მთა ასე თავგამოდებით და მედგრად ებრძოდა ფეოდალებს თავისუფლებისათვის, ამის მიზეზი, სხვათა შორის, ისიც იყო, რომ ბატონ-ყმობა მეტად მძიმე და აუტანელ ტვირთად გადაიქცა. ხოლო სადამდე მიღწია ბატონ-ყმობამ შეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, ამას ცხადად ვახტანგის სამართალი გვიჩვენებს.

ამ სამართლის ძალით, კერძოდ ყმა და საზოგადოდ გლეხი თითქმის ყოველგვარ უფლებას მიხდილი იყო და ცალკეერ ნივთს წარმოადგენდა. სამართალი პირდაპირ ამბობდა—„ყმისა ყველა ბატონისა არის“... „თუ ბატონი გაუწყრეს, სულის გარდა, ბატონს ყველაზედ ხელი მიუწყვდების“... ბატონს შეეძლო მოკლა, გაეხებრა თავისი ყმა და ეს მარტო „საწყერი“ იყო და სხვა არაფერი—„თუ კაცმან თავისი ყმა ან მოკლას ან ვახეიბროს, თუ დანაშაულზედ უქნია... საწყერი არის“... „თუ უბრალოდ

მონად დარჩენილიყო. ჩვენს თავდაზნაურობას არც ის უნდოდა, რომ მიწა გლეხს საკუთრებად მისცემოდა, და არც ის, რომ გლეხს სრულიად თავი დაენებებანა მიწისათვის. აი ეს ორიპროვანი მოსაზრება დავიკარგეთ უმრავლესობის შეხედულებას, რომლითაც გლეხს უნდა მისცემოდა ყველა ის მიწები, რაც წინად ეჭირა, მხოლოდ საკუთრებად-კი არა, სამფლობელოდ. უმრავლესობის აზრით, გლეხს მიწის მფლობელობისათვის ბატონისათვის გადასახადი უნდა ეძლია, პირველ ხანებში წინანდელის ანგარაშით და შემდეგ-კი შეთანხმებით. ამასთანავე თავდაზნაურობა თხოულობდა, კანონით აეკრძალა გლეხისთვის მიწიდამ აყრა, ვიდრე შეთანხმების ვადა არ გავიდოდა. ერთის სიტყვით, თავდაზნაურობას ჰსურდა გლეხი მოიჯარადრედ გადაექცია.

ასეთი იყო 1863 წელს უმრავლესობის აზრი, მაგრამ უმრავლესობა და უკეთესობა შორი-შორს არიან

მოკლა, გინა ფათერკად მოსლოდეს, საფათერკო უნდა მისცეს და წყალობა რამე უყოს“... რასაკვირველია, სამართალი ყმას სხვაფრივ ეპყრობოდა, თუ იგი ბატონს რასმე დაუშავებდა—„თუ ყმამ ბატონს გაჯავრებით ჯოხი ჰკრას ან ხელით სცემოს, ხელი მოექრას“... „თუ გაჯავრებით პირის პირ შევაინოს, ენა მოექრას“...

ყმის ქონებრივი მდგომარეობა სრულიად ეთანასწორებოდა იმის პიროვნულს დაჩაგვრას. „ყმა ვერც ვალს აიღებს, ვერც არავის მისცემს, ამისათვის რომე არა აქვს-რაო...“ „თავადის ყმა ნურას იყიდისო...“ თავადისა და ვინგინდას კაცს ყმა თავისის ბატონის უბეჭდოდ ნურც რას გაყიდის, თორემ მისი მებატონე არ იყაბულებს, მამულს თვითონ დაიჭერს და ფასს მიმსყიდველს სთხოვს“... და სხვა ამგვარი.

მართალია, გლეხობა საზოგადოდ სხვა და სხვა დასად და ჯგუფად იყო დაყოფილი და ყოველნი ერთს ტაფაში არ იწვოდნენ,—თავისის ნებით შესული ყმა უფრო თავისუფალი იყო, ვიდრე, მაგალითებრ, ნასყიდი ანუ ნაბოძები, მაგრამ მაინც ბატონ-ყმობა საერთოდ ისეთს საზარელს ბოროტებას წარმოადგენდა, რომლის მსგავსი ჩვენს წარსულში არ მოინახებოდა. ცოტად ამ ბოროტებას ღმობიერების ნელსაცხებელს სდებდა ვერედ წოდებული „ჩვეულება“, რომელიც ხშირად დაწერილ სამართალს აბათილებდა. ამიტომაც ზოგნი კიდევ ამტკიცებენ—„ბატონობა ბატონობა იყოა“. მაგრამ ამ ბატონობის ქვეშ მარტო ერთის ჯგურის ყმა იმყოფებოდა, სახელდობრ იგი ყმა, რომელიც თავისის ნებით ბატონის უღელს ტვირთულობდა.

შემდეგ 1801 წლისა ყმის იურიდიული და ეკონომიური მდგომარეობა უფრო გაუვარგისდა. ამ ცვლილების მიზეზად თავდაზნაურობის ქონებრივი სიღარიბე შეიქმნა. მოგვხსენებთ, რომ ახალმა ცხოვრებამ ჩვენს დიდ-კაცობას დიდი ვალი დააწოლა. აი ზოგიერთი მაგალითი. ტფილისის გუბერნიის თავდაზნაურობას 1864 წლამდე

აღებულ ვალში 50414 სთონი ჰქაყადა დაგირავებული ვერედ წოდებულ „პრიკაში“. ეს ყმები დაფასებულნი იყვნენ, რასაკვირველია, თავიანთ მამულთ, 2,042,100 მანეთად. ხოლო თავდაზნაურობის მთელი ვალი შეადგენდა 1,810,840 მანეთს. მამულების მეოთხედი ნაწილი თავდაზნაურობას „პრიკაში“ ჰქონდა შეტანილი. *) დიდ-კაცობას ყმების შრომის გარდა, სხვა სახსარად არ მოემოვებოდა თავისის განცხრომის დასაკამყოფილებლად და რასაკვირველია, ამ გარემოებას სრულიად ბოლო მოუღო ყმების ეკონომიურს მდგომარეობას. საქმიქამდე მივიდა, რომ ყმებს პირუტყვებისაგან ჰყიდნენ ბაზარში, და ეს სათაკლო ამბავი ახლაც ბევრს ახსოვს. მთავრობა სცილობდა ცოტად მაინც, გაეუბჯობეს ყმების ბეჩავი და უღმობელი მდგომარეობა, მაგრამ თავდაზნაურობის ამის წინააღმდეგი იყო. 1826 და 1826 წ. დააწესეს, მებატონებ ზომას გარედ, ხარჯი არ გადაეღვენოს თავისს ყმასაო, შეუბრალებლად და უჯიათად არ მოეკიდოს, თორემ მთავრობა ყმა ჩამოართმევს და თავისის მფარველობის ქვეშ იყოლიებსო. მაგრამ ვერაპიულ ცხოვრებით გატაცებული დიდ-კაცობა ამ „უქაზებს“ უკრადლებას არ აქცევდა. მთავარ მართებელ ვორონცოვის დროს ჩვენს გლეხობას ცოტა არ იყო ბედმა გაუღიმა. მთავრობას ჰსურდა სათნოება და კაცთ-მოყვარეობა დაემყარებინა ბატონისა და ყმის ურთიერთობაში და ამ მიზეზის გამო შეადგინა ვერედ წოდებული— „Систематический сводъ отношеній помѣщиковъ къ крестьянамъ и обратно“, მაგრამ თავ-კერძო თავდაზნაურობა წინ აღუდგა მთავრობის ლიბერალურს მიმართულებას. ამ არა-საქებას საქმეში მეტად რე თავი იჩინეს გორისა და სიღნაღის მებატონებმა. სირცხვილისგან წითლდებით, როცა ამათ მოქმედებას ითვალისწინებთ, იმათ ლაღლისს ისმენთ. დიად, დროთა ახალ

*) იმ ჩემი მონოგრაფია „ჩვენის გლეხობის ისტორიიდან“, რომელიც უნდალ „ივერიაშია“ დაბეჭდილი.

რისი არ არის: თუ გვინდა, რომ მომავალში ურთიერთობა გლეხებსა და ბატონს შორის არ გამწვავდეს თუ გვინდა, რომ წესიერება დამყარდეს მიწის მფლობელობაში და გლეხთათვის უფლება გლეხებისა საქმი მოხდეს და არა სიტყვით, აუტლებლად უნდა შესყიდულ იქნას მთავრობისაგან გლეხებისათვის მთლად ის ადგილები, რომელსა სკამარისი იქმნება მისის არსებობისთვისაო.

როგორც ვიცით, გლეხების განთავისუფლებამ შექმნა ჩვენში წ. დროებით ვალდებული გლეხები, რომელთა ყოფა-მდგომარეობა ბევრნაირად წაავავს წინანდელ ყმების მდგომარეობას. მართალია, ეს მდგომარეობა დროებითია, მაგრამ ჩვენ ჯერ მაინც არ ვიცით როდის მოვლდება ბოლო. მამასწავლის სიტყვები სრულიად მართლდა: გლეხი განთავისუფლდებოდა სიტყვით, ვიდრე საქმი

ვითარებამ სრულიად შესცვალა ძველებური ბატონ-ყმობა და გლეხის პიროვნება მეტად გააბნევა და გაავრანა...

ის მანიფესტი, რომელიც ამ ცდა ჩვიდმეტ წლის წინად დღევანდელ დღეს გუნების მოედანზედ შეკრებილს ერს გამოუცხადეს, სწორზედ მისწრებული ცხოვრება იყო. მანიფესტის შინაარსი ყველას ცოცხლებს ალსანიშნავი მხოლოდ ისაა, — რა ცვლილება შეიტანა ცხოვრებაში ბატონ-ყმობის მოსპობამ და რა ახალი ხაზი და ღარი გაავლო ჩვენს ეროვნულს მდგომარეობას

პირველი და უმთავრესი ცვლილება იმაში გამოიხატა, რომ ყმაც კაცად ცნობილ იქმნა და მისი პირადი თავისუფლება და ღირსება კანონმა ცხადად აღიარა. ძველ დროს ყმა იურიდიულად პირუტყვის უდრიდა, ცალიერ ნივთს წარმოადგენდა. თუ სადამდე აღწევდა ყმის პიროვნული არარობა, ცხადად სწინს სამართლიდგან, — ყმას არ შეეძლო მოწმად მისვლა, საჩივრის შეტანა, სამართლის თხოვნა. ყველა ამისთვის ბატონის ნებართვა იყო საჭირო. ყოველს სფეროში, სადაც კი კაცის კერძო თავისუფლება მეფეებს, ყმა უფლებას მოკლებული იყო. დღევანდელმა დღემ კი ყველა ეს შემუსრა და ყმასაც კაცობა მიანიჭა. ყოველ კაცის უპირველეს და უძვირფასეს უფლებას პიროვნული თავისუფლება შეადგენს და მხოლოდ ასეთს თავისუფლებას შეესაძლოა დამყარდეს როგორც კერძო, ისრე საზოგადო წარმატება და კეთილ-დღეობა. კაცობრიობის უკეთესი წარმომადგენელი სწორედ ამ თავისუფლებისთვის იბრძოდნენ. ვერც ერთი სიკეთე და მაღლი თავისუფლებას ვერ შეედრება, გარეშე ამ თავისუფლებისა ყოველივე ფუჭი და ამაოა, და დღევანდელ დღეს ეს საუნჯე ჩვენებურ ყმასაც მიენიჭა. რასაკვირველია, პიროვნულმა თავისუფლებამ იგი ყმა ზნეობრივად განაახლა, აღაფრთოვანა, ახალ ძალითა და ღონით აღავსო. ეს ცვლილება ცხადად დაემჩნა საზოგადო ცხოვრებასაც. თავისუფლების სხივმა სიგძესა და სიგანესედე გაიწია და მთელს ერს, მთელს ქართველობას მოეფინა. ჩვენი საზოგადოებრივი პროგრესი სწორედ ბატონ-ყმობის მოსპობიდან დაიწყო. აზრის ფრენა მაშინ გაჩნდა. ძმობის, ერთობის და თავისუფლების ქადაგება იმ დროიდან შეიქმნა ძალუმ დაღადისად, საეროვნო პროგრესად. აღჩნდნენ დიდებულნი პოეტნი, მახვილნი და მკვირცხლნი პუბლიცისტნი. ლიტერატურამ ფრთები შეისხა. გამოდევნება, მოძრაობა მთელს ერს დაეტყო. თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ 8 ნოემბრის 1864 წლის მანიფესტისთანა სიკეთე ჩვენთვის არაფერს მოუტანია. იქმნება გენიოსს დავით აღმაშენებელსაც გასჭირებოდა იმის ქმნა, რაც ამ მანიფესტმა მოახდინა. არ უნდა დავივიწყოთ, ბატონ-ყმობა სისხლად და ხორცად გარდაქცეული ჰქონდა ჩვენს წარსულს ცხოვრებას. მოიგონეთ, რას ბრძანებდა გენერალ-ლეიტენანტი თავადი ბაგრატიონ მუხრან-ბატონი: საქართველო უბატონ-ყმოდ ვერ გასდ-

ლებდა და უეჭველად დაემხობოდა და თუ აქამომდე იცოცხლა, იმიტომ რომ ყმობა არსებობდა... აი ეს ძალა დაამხო დღევანდელ დღეს. გამოცხადებულმა მანიფესტმა!

მაგრამ მანც 8 ნოემბრის მანიფესტს ჩვენი ვიწრო ასპარეზი ჰქონდა. საქმე ის არის, რომ საქართველოში ყმანი მკირედ ნაწილს შეადგენდნენ. როგორც ოფიციალურ წყაროებიდან სწინს, მთელს ტფილისის გუბერნიამი ითვლებოდა ას-ოცდა ორ ათასზედ ცოტა მეტი ყმა, კაცი და ქალი, ხოლო მეტაბრანე იყო ათასი შეიდას ორმოცდა თერთმეტი. ქუთაისის გუბერნიამი იყო ორას ათასამდე ყმა და მეტაბრანე თითქმის ხუთი ათასამდე (სამეგრელოს არ ვანგარიშობთ). ცხადია, რომ ყმანი შედარებით დანარჩენ მცხოვრებლებთან, რომელნიც იმ დროს მილიონს აღემატებოდნენ, ცოტანი იყვნენ და მხოლოდ ამ ცოტა ნაწილს მანიფესტმა მიანიჭა სხვა-და-სხვა უფლება. სხვა წოდებებს იგი მანიფესტი არ შეჰხებია და ამ მხრივ ყოფილი ცხოვრება ხელ-უხლებელი დარჩა. სასულიერო წოდება, რომლის წარმომადგენელიც ხან-და-ხან ყმებად ხდებოდნენ, თავდაპირველადვე განთავისუფლეს, 1808 წ. ამ გვარად რეფორმის ვიწრო სარბიელი შემოუფარგლეს და ამ გარემოებამ დიდი გავლენა იქონია თვით რეფორმის ბედზედ. ძრიელ მალე გამოაშკარავდა, რომ მართო გლეხობის ყოფა-ცხოვრება არ საქირებდა განახლებას და ამ განახლებას ზედ უნდა დართოდა სხვა უფრო ფართო და ვრცელი ცვლილება წოდებათა.

სამამულო და საზოგადოდ საეკონომიო სფეროში რეფორმის უფრო მეტად შეეკვეცა ფრთები, მაგრამ აქ მიზნებად ჩვენი თავად-აზნაურობა შეიქმნა. ამ თავად-აზნაურობას ჰკითხეს—მამულით თუ უმამულოდ უნდა განთავისუფლდეს გლეხიო. მეტრც საქირო არ იყო. თავად-აზნაურობამ აიღო და დაასკვნა, — ბატონ-ყმობა ძველთ-უძველესი დაწესებულებაა, რომელიც ორ წოდებას მჭიდროდ აკავშირებდა და თუ გლეხს საკუთარი მამული მისცეს, წოდებრივი კავშირი მოისპობაო. რაკი ფეოდალურმა დასმა ასეთს სოფიზმს ხელი ჩასჰიდა, განუწყვეტელი ქადაგება მართა: გლეხს რომ საკუთარი მიწა-წყალი მისცეთ, ზნეობრივ კანონისა და სინილისის წინააღმდეგი იქმნება, მტრობას და შუღლს ჩამოგდებს, წოდებათა შორის კეთილ განწყობილებას მოსპობსო... მთავრობამაც შეისმინა და ჩვენის დიდკაცობის „საკონომიო“ მოძღვრება უკვე განახორციელა. მხოლოდ მერე აღმოჩნდა, თუ რა ღრმად სცდებოდა თავად-აზნაურობა. ახლა ცხადია, რომ ბატონი და ყმა ისე ვერ გამოზრდნენ ერთმანეთს, როგორც საქირო იყო. იმათ შორის ჯერ კიდევ ბევრი სადავო და საშუალო დარჩა. ზნეობრივი ურთი-ერთობაც ხომ შეირყა.

მაგრამ, რაც უნდა იყვეს, უწინდელმა ყმამ დღეს ძალა და ღონე შეიმოსა, შესაკუთრედ შეიქმნა. ბატონ-ყმობის დროს გლეხს ნება არა ჰქონდა უძრავი მამული შეეძინა.

თუ შეიძენდა, ბატონის ვალში წაართმევდნენ. ასე გასინჯეთ; გლეხს უფლება-კი არ მოუბოგებოდა, ბატონ-ოვის ეწილა, — ესა და ეს მამული ბატონისა კი არა, ჩემიაო, ასეთს ს ჩივარს სასამართლოში არ ღებულობდნენ. ახლა?.. ახლა ჩვენი გლეხობა თავის მებატონეთა მამულს თავის ფლად იძენს და დავსაც უტებს ეს და ეს მთა და ტყე ჩემი საკუთრებაა... ასეთი ცვლილება მოახდინა 8 ნოემბრის მანიფესტმა... და მერე რა მკირე მანძილია იმ დროდგან, როცა „ყმისა ყველა ბატონისა იყო“ დღევანდლამდე, როცა, თუ ბატონისა ყველა ჯერ ყმისა არ არის, ოდესმე იქმნება იყვეს!..

6. ურბნელი

ახალი ამბავი

* * კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ 8 ნოემბრის სხდომაზედ, სხვათა შორის, განიხილა კავკასიის გამოფენის კომისარის მოხსენება გამოფენის დახურვის ვადის გადადების შესახებ და, მიიღო რა სახეში ის გარემოება, რომ თუ გამოფენა საკისოდ აღარ იქმნა გარდქელებული, გამართველ კომიტეტს დიდი ზარალი მოეღოს, შესაძლებლად სცნო გარდქელება გამოფენისა მომავალ 1902 წლის მაისიდგან ოქტომბრამდე.

* * გუშინ პოლიციის მე-10 ნაწილში, მახვილს ქუჩაზე, შედგგი მკვლელობა მოხდა: ამიერ-კავკასიის რკინის გზის მკურნალ ვოინოს სახლში დილის 4 საათზედ შეპარულა მასთან მზარეულად ნამყოფი სპარსეთის ქვეშევრდომი და ვოინოსთან მცხოვრები ქალი რამდენსამე ადგილას სასიკვდილოდ დაუჭრია; ყვირილზე გამოპოვიძებია თვითონ ვოინოსაც და თუმცა დიდხანს უბრძოდნია ბოროტ-მოქმედთან, მაგრამ ვერა გაუწყვირა, რადგანაც უიარაღო ყოფილა. ბოროტ-მოქმედს ისიც დაუჭრია რამდენსამე ადგილას და შემდეგ სალაღ გაქცეულა, მაგრამ პოლიციას მანც დაუჭრია. დაჭრილი ვოინო მიხელის სამკურნალოში გაგზავნეს; ხოლო ქალი გულში მძიმე ჭრილობისაგან უკვე გარდაცვლილა. მიზეზი ბოროტ-მოქმედებისა ნამდვილად ჯერ არ იცინ.

* * ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის დროებითმა გამგემ ამას წინად მოითხოვა, რომ გაიწმინდოს გამოფენის შენობებისაგან საბაღოსნო სკოლის ეზო, რადგანაც სწავლა სკოლაში დაიწყო და ბაღი-კი არ არის სამეცადინოდ. ეს მოხსენება სამეურნეო საბჭომ განიხილა გუშინ-წინ და დაადგინა, თუ გამოფენა მომავალ წელიწადს გაგრძელდება, სკოლისათვის დროებით სადმე იჯარით აიღონ ადგილი.

* * ტფილისის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, ამორჩეულ იქნას განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს ის, თუ როგორ მოწყობილდეს ქალაქში ფაბრიკა-ქარხნების აშენების საქმე, ისე რომ სანიტარული მდგომარეობა ქალაქისა დაკულ იქნეს

და ხელიც არ შეუშალოს საზოგადოდ ჩრეწველობა-წარმოების საქმეს. ინსპექტორის აზრით საჭიროა ყველა ფაბრიკებისათვის ქალაქის განაპირას განსაკუთრებული ადგილი იქმნას მიჩემებული.

* * ტფილისის ქალაქის გამგეობამ 6 ნოემბრის სხდომაზედ გარდასწყვიტა გადადებულ იქნეს 10,000 მან. ნავთლუხის დედათა გადამდებ სენის საფედყოფოს შესაკეთებლად, ხოლო იმის შეკეთებამდე გაკეთდეს ახალი სადგომი, რომლისათვისაც გადაიღოს ქალაქის სამუშაო თანხიდან 12,000 მან. და იქ გადმოიყვანონ ავადყოფები; შემუშავდეს პროექტი ერთის დიდის შენობისა, რომელშიაც უნდა მოთავსდეს ქალთა და კაცთა განყოფილებანი; ამ შენობისათვის ქალაქს დასჭირდება 80 ათას მანეთამდე.

* * ბორჯომის საღვთისმშობლის იუწყებიან, რომ 5 ნოემბერს ბაკურიანის რკინის გზის შტოზედ ვაგონების დაკლის დროს კონდუქტორი ივანე კოსტინი ვაგონებს შუა მოჰყოლია და მძიმედ დაშავებულია. კოსტინი მიხილოვის საავადყოფოში გაუგზავნიათ.

* * პარასკევს, 9 ნოემბერს, სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა ექნება, რომელზედაც უნდა განიხილოს საბაღოსნო სკოლის მზრუნველის არჩევის საქმე.

* * კვირას, 11 ნოემბერს, ვეტცელის დარბაზში, მიხელის ქუჩაზედ „ქართველთა შორის წ. კ. გამაგრებულ საზოგადოების“ უფასო სამკითხველოების სასარგებლოდ გამართული იქმნება საღამო, რომელზედაც წარმოადგენენ 2 მოქმედ. კომედიას ქ-ნ აზიანი-სას „გატრეხულ იმედებს“. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ სტენის მოყვარეები და თვითონ ავტორი პიესისა ქ-ნი აზიანი. წარმოდგენის შემდეგ ცეკვა იქნება.

* * როგორც იწყებიან, შევეციდგან მალე რამდენიმე მონადირე თურმე ჩამოვა კავკასიაში. ჯერ რამდენიმე კვირას ბაქოს მახლობლად ინდირებენ და შემდეგ სპარსეთს წავლენ.

* * როგორც საერო განათლების სამინისტრო განმარტავს, კერძო სახლებში მასწავლებლობის უფლება თურმე ეძლევათ მხოლოდ სამსახურიდგან გამოსულს მასწავლებლებს მასწავლებლების მასწავლებლებსა და არა სამსახურში მყოფთ.

* * საპატიმროთა ახალს ინსტრუქციით, სხვათა შორის, განზღაბულია ახლად შემუშავდეს როგორ უნდა იქმნეს მოწყობილი სწავლის საქმე საპატიმროებში, სახალხო საუბარისა, სამკითხველოების და წიგთ-საცავების საქმე.

* * შუამდგომლობა აღძრული რუსეთის კურორტებში რკინის გზის მსახურთათვის საავადყოფოები იქმნეს გამართული.

* * მომავალ წელს დაიწყებს ინაგრადან მოქმედებას კომისია, რომელსაც ცეცხლის წინააღმდეგ ბრძოლის საქმე აქვს მიწოდებული. * * ბაქოდან იუწყებიან, რომ 6 ნოემბერს, დილის 6 საათზედ, სამგზავრო შენობის წინ ვიღაც უცნობს ბოროტ-მოქმედს დანით დაუჭრია მუცელში ახუნდოვი-ჯა-

ჯალოვი, რომელიც რუსეთის იმპერიის ხნის შემდეგ კიდევაც ცხოვრობდა ქალაქში.

* * ბაქოდანვე იუწყებიან, რომ 6 ნოემბერს ტარაზის კონდუქტორი მუშა მატარებლისა გიორგი ჯანელიძე ორთქლმავლის მოხსნის დროს მატარებელს გაუსრესია.

ნახვარაი საუკუნის წინად.

.. სიმართლის ხმა ქვეყნად ჰქუხდა დასათრუნველ მოხებისა. ი. ჭავჭავაძე.

... ყირიმის ომის დროს უკვე გავრცელებული იყო ხალხში ხმა, რომ „ბატონ-ყმობა უნდა გადავარდესო“. თავად-აზნაურობა ყოველს ღონისძიებას ხმარობდა ჩაეწუმათებინა, გადაეფუჩნებოდა მისი ბატონობის მოსპობაზე გავრცელებული ხმა, მაგრამ ამაოდ.

რაც უფრო მეტი იყო ბატონების ცდა, იმდენად უფრო ვრცლად და ფანტასტიური დამატებით ეფინებოდა ქვეყნის კაცთა ღირსების ამემაღლებელი, სულის აღმაფრთოვანებელი ამბები...

ყირიმის ომის დაწყებისას იმერთა თავად-აზნაურთ შორის გავრცელდა ის ხმა, რომ „ღმერთმა ნუ ქნას მტრებმა გაიმარჯვონ, თვარა მაშინვე ყმებს განთავისუფლებენ თურმეო. ჩვენს ხელმწიფეს უთქვამს მოსკოვისა და პეტერბურგის თავად-აზნაურთა წინამძღოლებისათვის, თქვენ მომეხმარეთ მე გავიმარჯვო მამულის მტრებზე და, სანამ ცოცხალი ვიქნები, ბატონ-ყმობას არ მოვსპობ და შეილსაც ასეთს ანდერძს დავუტოვებო“.

მომსწრე კაცთაგან გამიგონია, მაგალითად, რომ თ-დმა მ. ერისთავმა თავის ყმები გაიწვია ომად და სხვა თავად-აზნაურებსაც ურჩია და გააწვევინა ჯარში ყმები, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო. თვითონ თავად-აზნაურები ხომ ქულზე კაცი გამოვიდა, როგორც ყოველთვის მაშადალიანებთან ბრძოლის დროს.

„ახლა დავუმტკიცოთ ხელმწიფეს ერთგულება და ვაჟაკობა, და თუ ღმერთმა იმას გაუმარჯვა, ბატონ-ყმობას არ გადავდებ, კეთილშობილს კაცს არ შეარცხვენსო“.

გათავდა ყირიმის ომიც. ხმა ბატონ-ყმობის მოსპობაზე თან-და-თან ძლიერდებოდა...

ბოლოს, 1861 წ. მოვიდა დაბეჯითებული ამბავი, რომ რუსეთის შიდა გუბერნიებში ბატონ ყმობა გადავარდა კიდევაც, გლეხები განთავისუფლესო...

თავად-აზნაურნი დაფაცურდნენ, მისცივდნენ თავიანთ უფროსთ, დამსახურებულ წარმომადგენლებს, მარშლებს. თ—დთ გრიგოლ ორბელიანს, გიორგი ერისთავს, გ. თარხნიშვილს და დიმიტრი ყიფიანს ტფილისში მოსვენება არ ჰქონდათ თავიანთ უმცროსს ძმებისაგან: ხმა ამოიღეთ, წავგადეკით, თორემ მიწასთან გასწორებას გვიპირობენო. „ძმა ძმისთვისო შევის დღისთვისო“.

სამეგრელოს მთავრის ქვრივი დედოფალი ეკატერინე და გურის მთავრის ასული ტერეზია, რომელნიც იმ ჟამად პეტერბურგში ბრძანდებოდნენ, „დაუფაცურდენ“ სამშობლო ქვეყნის აზნაურობას.

